

# ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ № 113

(სამუშაოს შესყიდვა)

ქალაქი ფოთი

19 სექტემბერი 2016 წელი

## მუხლი 1. ხელშეკრულების მხარეები და შესყიდვის სამართლებრივი საფუძვლები

1.1 ერთის მხრივ, ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტი - შემდეგში „შემსყიდველი“, წარმოდგენილი ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერის ირაკლი კაკულიას სახით და მეორეს მხრივ, შპს „იმედი 1969“, შემდეგში „მიმწოდებელი“, მისი დირექტორის კახაბერ ცაავას სახით - ვდებთ ხელშეკრულებას შემდეგზე:

2016 წლის 4-5 სექტემბერს განვითარებული სტიქიური მოვლენების (ძლიერი ქარი და წვიმა) შედეგად, ქალაქ ფოთში, დაზიანდა, კერძო სექტორში მდებარე რამდენიმე საცხოვრებელი სახლის სახურავი. ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის მშენებლობის, ინფრასტრუქტურისა და ტრანსპორტის სამსახურის მიერ დადგენილია დაზარალებულ პირთა მონაცემები და ზიანის ოდენობა. სტიქიური მოვლენების შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიების განხორციელების მიზნით, კერძო სექტორში მცხოვრები მოსახლეობის საცხოვრებელი სახლების აღდგენის მიზნით სამშენებლო მასალების შესაძენად გამოიყო თანხა, ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ბიუჯეტის სარეზერვო ფონდიდან.

შემსყიდველმა ორგანიზაციამ, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს მიმართა თხოვნით, სამშენებლო მასალების, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით შესყიდვის მიზნით, რათა დროულად მოხდეს მიყენებული ზიანის აღმოფხვრა.

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტი (თვითმმართველი ერთეული), სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2016 წლის 16 სექტემბრის N2647 განკარგულების თანახმად და „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმის განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის“ მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, მხარეებს შორის მიღწეული შეთანხმების გათვალისწინებით დებენ სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებას (შემდგომში „ხელშეკრულება“).

## მუხლი 2. შესყიდვის ობიექტის დასახელება, კლასიფიკატორის კატეგორია და ქვეკატეგორია

2.1 შესყიდვის ობიექტი - კერძო სექტორში მცხოვრები მოსახლეობის საცხოვრებელი სახლების აღდგენის მიზნით სამშენებლო მასალების შესყიდვა (დანართი №1).

2.2 შესყიდვის საშუალება - გამარტივებული შესყიდვა, გადაუდებელი აუცილებლობა. რეგისტრაციის ნომერი SMP მოდულში - SMP160002477.

კლასიფიკატორის (CPV) კოდი და კლასიფიკატორის დანაყოფი - 44100000 - სამშენებლო მასალები და დამხმარე სამშენებლო მასალები

კლასიფიკატორის (CPV) კოდი და შესყიდვის კონკრეტული ობიექტი - 44110000 - სამშენებლო მასალები

## 3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1 სამშენებლო მასალების საერთო ღირებულება შეადგენს 3473,25 (სამი ათას ოთხასსამოცდაცამეტი ლარი და 25 თეთრი) ლარს, საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული გადასახადების ჩათვლით.

#### 4. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადები და პირობები

4.1 შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადები - ხელშეკრულების დადებიდან 2016 წლის 10 ოქტომბრის ჩათვლით.

4.2 შესყიდვის ობიექტის მიწოდების პარალელურად მიმწოდებელი ვალდებულია წარუდგინოს შემსყიდველის უფლებამოსილ პირს, შესაბამისი დოკუმენტაცია (მიღება-ჩაბარების აქტი, სასაქონლო ზედნადები და სხვა).

#### 5. შესყიდვის ობიექტის ხარისხი

5.1 უნდა აკმაყოფილებდეს საქართველოში მოქმედ ნორმებს და შემსყიდველი ორგანიზაციის მოთხოვნებს.

#### 6. ხელშეკრულების კონკრეტული მოქმედების ვადა

6.1 ხელშეკრულების კონკრეტული მოქმედების ვადა განისაზღვრება, ხელშეკრულების ხელის მოწერის დღიდან და მოქმედებს 2016 წლის 30 ნოემბრის ჩათვლით.

#### 7. შესყიდვის ობიექტის ანგარიშსწორების ფორმა და მიღება-ჩაბარების წესი

7.1 მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება - ლარებში.

7.2 შესყიდვის ობიექტის მიწოდების ღირებულების ანაზღაურება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით – (გადარიცხვა).

7.3 მოწოდებული საქონლის მოცულობის მიხედვით, გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტისა და ანგარიშ-ფაქტურის წარმოდგენიდან არაუგვიანეს 10 (ათი) დღის განმავლობაში.

#### 8. ფორს-მაჟორი

8.1 მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი თავიანთი ვალდებულებების სრულ ან ნაწილობრივ შეუსრულებლობაზე, თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეულია ისეთი გარემოებით, როგორცაა წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე ომები და საომარი მოქმედებები. თუ ისინი უშუალო ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე. ხელშეკრულების შესრულების ვადა გადაიწევეს შესაბამისი დროით, გარემოებათა დასრულების შემდეგ.

8.2 მხარე, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება დაუყოვნებლივ აცნობებს ამის შესახებ მეორე მხარეს.

#### 9. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

9.1 არავითარი გადახრა ან ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება ორივე მხრის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორებების გარდა.

9.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

9.3 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

## 10. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

10.1 შემსყიდველ ორგანიზაციას უფლება აქვს ხელშეკრულების პირობების შესრულების კონტროლი დაავალოს, როგორც თანამშრომელს ან თანამშრომელთა ჯგუფს.

10.2 ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული პირების ფუნქციაა მისაწოდებელი ან/და მოწოდებული საქონლის მოცულობის, ხარისხისა და მოწოდების ვადების ხელშეკრულების მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენა.

10.3 ხელშეკრულების შესრულების კონტროლზე, ტექნიკურ ზედამხედველობაზე და ხელშეკრულებით გათვალისწინებული მიღება-ჩაბარების აქტების გაფორმებაზე პასუხისმგებელ პირებს შემსყიდველის მხრიდან წარმოადგენს შემსყიდველი ორგანიზაციის უფლებამოსილი პირი ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის მშენებლობის, ინფრასტრუქტურისა და ტრანსპორტის სამსახური.

## 11. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

11.1 ფორს-მაჟორული პირობების გარდა, მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისა ან/და დაგვიანებით შესრულების შემთხვევაში გამოიყენება საჯარიმო სანქცია: ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან შესრულების ვადის გადაცილებისათვის მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა, ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0.1%-ის ოდენობით, ხოლო, თუკი ადგილი აქვს ვალდებულების ნაწილის შეუსრულებლობას და შესრულების ვადის გადაცილებას, პირგასამტეხლო შეადგენს ვალდებულების შეუსრულებელი ნაწილის 0.1 %-ს.

## 12. სხვა პირობები

12.1 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, სამ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმოწერ მხარეებთან ერთი - მიმწოდებელთან, ორი - შემსყიდველთან. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

12.2 წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ.

12.3 აღნიშნული ხელშეკრულებით გაუთვალისწინებელი საკითხები რეგულირდება მოქმედი კანონმდებლობით.

## 13. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები

„შემსყიდველი“

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტი  
ს/კ № 215138143  
მის: ქ. ფოთი, დ. აღმაშენებლის ქ. №12

„მიმწოდებელი“

შპს „იმედი 1969“  
მის: ქ. ფოთი, ჩელუსკინელების ქუჩა N38  
ს/კ 415084839  
სს „თიბისი ბანკი“  
ბ/კ TBCBGE22  
ა/ნ GE 53 TB7634636080100002

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერი  
ირაკლი კაკულია





სამშენებლო მასალები

ფასების ცხრილი

| №  | დასახელება                                 | განზომილება | რაოდენობა | ერთ ფასი | ღირ-ბა  |
|----|--|-------------|-----------|----------|---------|
| 1  | საღებავი ბტკის 25კგ                        | ცალი        | 1         | 90,00    | 90,00   |
| 2  | შიფერი აზბესტცემენტის                      | ცალი        | 74        | 19,00    | 1406,00 |
| 3  | ბათქაში სამშენებლო                         | ცალი        | 1         | 10       | 10,00   |
| 4  | ლურსმანი 120 მმ                            | კგ          | 2         | 7        | 14,00   |
| 5  | მინა                                       | კვ/მ        | 1         | 16       | 16,00   |
| 6  | თვითმჭრელი ხრახნი 5,5*70 წითელი            | ცალი        | 550       | 0,15     | 82,50   |
| 7  | მოთუთიებული ნაგლინი 0,50*875*2000 (შიფერი) | ცალი        | 62        | 18       | 1116,00 |
| 8  | ლარტყა                                     | მ/კუბ       | 0,375     | 550      | 206,25  |
| 9  | ცემენტი 32,5 ტრაბზინი                      | ტონა        | 0,25      | 200      | 50,00   |
| 10 | სამშენებლო ბლოკი 20*20*40                  | ცალი        | 70        | 1,25     | 87,50   |
| 11 | მოთუთიებული ბრტყელი ფურცლის კეხი           | კგ/მ        | 6         | 10,5     | 63,00   |
| 12 | ქვიშა-ლორდი                                | მ/კუბ       | 2         | 40       | 80,00   |
| 13 | შეკიდული ჭერი 25სმ (პლასტიკატი)            | მ2          | 21        | 12       | 252,00  |
|    | სულ ღირებულება                             |             |           |          | 3473,25 |

„შემსყიდველი“

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტი

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის  
ირაკლი კაკულია



„მიმწოდებელი“  
შპს „იმედი 1969“

დირექტორი  
კახაბერ ცაავა



მაკონტროლებელი

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის  
მშენებლობის, ინფრასტრუქტურისა და  
ტრანსპორტის სამსახურის უფროსი

ზურაბ ჯამბურია





# ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

## ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერის

### ბ რ ძ ა ნ ე ბ ა № 751



ქ. ფოთი

„ 09 ” ს ე ქ ტ ე მ ბ ე რ 2016 წ.

#### ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ბიუჯეტის სარეზერვო ფონდიდან თანხის გამოყოფის შესახებ

2016 წლის 4-5 სექტემბერს განვითარებული სტიქიური მოვლენების (ძლიერი ქარი და წვიმა) შედეგად ქალაქ ფოთში დაზიანდა, კერძო სექტორში მდებარე რამდენიმე საცხოვრებელი სახლის სახურავი და ასევე მოსახლეობას მიაყენა ნაწილობრივი ზიანი. ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის მშენებლობის, ინფრასტრუქტურისა და ტრანსპორტის სამსახურის მიერ დადგენილია დაზარალებულ პირთა მონაცემები და ზიანის ოდენობა. მიყენებული ზიანის საერთო ოდენობამ შეადგინა 8189,54 ლარი.

საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის 67-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად „ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტში გაუთვალისწინებელი გადასახდელების დასაფინანსებლად იქმნება სარეზერვო ფონდი, რომლის მოცულობა არ უნდა აღემატებოდეს წლიური ბიუჯეტით გათვალისწინებული ასიგნებების მთლიანი ოდენობის 2%-ს.“ ამავე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, სარეზერვო ფონდიდან თანხებს ქალაქის მერის გადაწყვეტილების საფუძველზე, რომელიც მოიცავს ინფორმაციას თანხის ოდენობისა და მიზნობრიობის შესახებ, გამოყოფს საფინანსო ორგანო.

ამდენად, მიზანშეწონილია სტიქიური მოვლენების შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიების განხორციელების მიზნით, სახლების გადახურვის სამუშაოებისათვის (მათ შორის მოსახლეობის სამშენებლო მასალებით უზრუნველყოფა) გამოიყოს თანხა, ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ბიუჯეტის სარეზერვო ფონდიდან.

#### აღნიშნულიდან გამომდინარე ვბრძანებ:

1. სტიქიური მოვლენების შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიების განხორციელების მიზნით, სახლების გადახურვის სამუშაოებისათვის (მათ შორის მოსახლეობის სამშენებლო მასალებით უზრუნველყოფა), ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ბიუჯეტის სარეზერვო ფონდიდან გამოიყოს 8189,54 ლარი.
2. აღნიშნული ბრძანების შესრულებასთან დაკავშირებით ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო, ეკონომიკური განვითარებისა და ქონების სამსახურმა, ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის შესყიდვებისა და საბუღალტრო სამსახურმა და ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის მშენებლობის, ინფრასტრუქტურისა და ტრანსპორტის სამსახურმა განახორციელოს შესაბამისი ღონისძიებები.

3. „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 52-ე მუხლის მე-2 ნაწილის, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 22-ე მუხლის მე-3 ნაწილის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 178-ე მუხლის შესაბამისად, ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული მხარის მიერ გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ფოთის საქალაქო სასამართლოში (მის. ქალაქი ფოთი, დავით აღმაშენებლის ქუჩა №3).
4. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერი

ირაკლი კაკულია



ბრძანება ეგზავნება: საქმისწარმოების განყოფილებას, ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო, ეკონომიკური განვითარებისა და ქონების სამსახურს, ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის შესყიდვებისა და ბუღალტერიის სამსახურს, ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის მშენებლობის, ინფრასტრუქტურისა და ტრანსპორტის სამსახურს.

შეთანხმებულია: ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო, ეკონომიკური განვითარებისა და ქონების სამსახური



ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო  
ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერის  
ბ რ ძ ა ნ ე ბ ა № 757



ქ. ფოთი

„ 13 ” სექტემბერი 2016 წ.

ქალაქ ფოთში, 2016 წლის 4 - 5 სექტემბერს განვითარებული სტიქიური მოვლენების (ძლიერი ქარი და წვიმა) შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების განხორციელების მიზნით გასატარებელი ღონისძიების თაობაზე

2016 წლის 4 - 5 სექტემბერს განვითარებული სტიქიური მოვლენების (ძლიერი ქარი და წვიმა) შედეგად ქალაქ ფოთში დაზიანდა, კერძო სექტორში მდებარე რამდენიმე საცხოვრებელი სახლის სახურავი და ასევე მოსახლეობას მიაყენა ნაწილობრივი ზიანი. ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის მშენებლობის, ინფრასტრუქტურისა და ტრანსპორტის სამსახურის მიერ დადგენილია დაზარალებულ პირთა მონაცემები და ზიანის ოდენობა. მიყენებული ზიანის საერთო ოდენობამ შეადგინა 8189,54 (რვაათას ასოთხმოცდაცხრა) ლარი.

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერის 2016 წლის 9 სექტემბრის N 751 ბრძანების საფუძველზე, 2016 წლის 4 - 5 სექტემბერს განვითარებული სტიქიური მოვლენების (ძლიერი ქარი და წვიმა) შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების განხორციელების მიზნით, გამოიყო 8189,54 (რვაათას ასოთხმოცდაცხრა) ლარი.

მოსახლეობისათვის სამშენებლო მასალების შესაძენად და ასევე სახლების დაზიანებული სახურავის ნაწილობრივი შეკეთების სამუშაოების შესყიდვის მიზნით უნდა გამოცხადდეს ელექტრონული ტენდერი. ელექტრონული ტენდერის ჩატარების პროცედურები დაკავშირებულია გარკვეულ დროსთან (სავარაუდოდ 25 დღე). სამშენებლო სამუშაოების შესრულებაც მოითხოვს გარკვეულ დროს. ამასთანავე ახლოვდება ზამთრის პერიოდი რაც ასევე, უარყოფითად იმოქმედებს დაზარალებულ მოსახლეობაზე. აღნიშნულიდან გამომდინარე, ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტი (თვითმმართველი ერთეული), გეგმავს მოსახლეობისათვის სამშენებლო მასალების შეძენასა და ასევე სახლების დაზიანებული სახურავის ნაწილობრივი შეკეთების სამუშაოების შესყიდვა, განხორციელოს გამარტივებული შესყიდვის საშუალებით.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 61-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს N13 ბრძანების „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმის განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის“ მე-5 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად,

### ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა:

**მუხლი 1.** გადაუდებელი აუცილებლობიდან გამომდინარე, ქალაქ ფოთში, 2016 წლის 4 - 5 სექტემბერს განვითარებული სტიქიური მოვლენების შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების განხორციელების მიზნით, კერძო სექტორში მცხოვრები მოსახლეობისათვის გადასაცემი სამშენებლო მასალები (კლასიფიკატორის კოდი - 44110000 - სამშენებლო მასალები) და სახლების დაზიანებული სახურავის ნაწილობრივი შეკეთების სამუშაოები (კლასიფიკატორის კოდი - 45261210 - სახურავის გადახურვა) შესყიდულ იქნეს გამარტივებული შესყიდვის საშუალებით.



მუხლი 2. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ეთხოვოს თანხმობა, აღნიშნული ბრძანების პირველი მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული საქონლისა და სამუშაოების გამარტივებული შესყიდვის საშუალებით, შესყიდვასთან დაკავშირებით.

მუხლი 3. ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარეს ეცნობოს, აღნიშნული ბრძანების პირველი მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული შესყიდვის თაობაზე.

მუხლი 4. ზემოაღნიშნული თანხმობის მიღების შემდეგ ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის შესყიდვებისა და საბუღალტრო სამსახურმა უზრუნველყოს, სახელმწიფო შესყიდვისათვის, მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული პროცედურების განხორციელება.

მუხლი 5. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 52-ე მუხლის მე-2 ნაწილის, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 22-ე მუხლის მე-3 ნაწილის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 178-ე მუხლის შესაბამისად, აღნიშნული ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული მხარის მიერ გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ფოთის საქალაქო სასამართლოში (მის. ქალაქი ფოთი, დავით აღმაშენებლის ქუჩა №12).

მუხლი 6. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერი



ბრძანება ეგზავნება: საქმის წარმოების განყოფილებას, ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის შესყიდვებისა და საბუღალტრო სამსახურს.

შემსრულებელი

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის  
შესყიდვებისა და საბუღალტრო სამსახური





სახელმწიფო შესყიდვების  
სააგენტოს თავმჯდომარის  
გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა



KA080126073402216

# 2647

16 / სექტემბერი /  
2016 წ.

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტისთვის სახელმწიფო შესყიდვის გამარტივებული შესყიდვით განხორციელების შესახებ თანხმობის გაცემის თაობაზე

აღწერილობითი ნაწილი

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოში 2016 წლის 14 სექტემბერს სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემის SMP მოდულის მეშვეობით წარმოდგენილ იქნა ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის SMP160002475 და SMP160002477 მომართვები გადაუდებელი აუცილებლობის საფუძველით გამარტივებული შესყიდვების განხორციელებაზე თანხმობის გაცემის შესახებ.

მომართვების მიხედვით, შემსყიდველი ორგანიზაცია გეგმავს ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტში 2016 წლის 4 - 5 სექტემბერს განვითარებული სტიქიური მოვლენების (ძლიერი ქარი და წვიმა) შედეგად დაზიანებული სახლების გადახურვის სამუშაოებისა და მოსახლეობის სამშენებლო მასალებით უზრუნველყოფისათვის აუცილებელი საქონლის (CPV 45200000 - მთლიანი ან ნაწილობრივი სამშენებლო სამუშაოები და სამოქალაქო მშენებლობის სამუშაოები, 44100000 - სამშენებლო მასალები და დამხმარე სამშენებლო მასალები) შესყიდვას.

შემსყიდველი ორგანიზაციის განმარტებით, შესყიდვა გამოწვეულია გადაუდებელი აუცილებლობით, რადგან 2016 წლის 4 - 5 სექტემბერს მომხდარი სტიქიის შედეგად, ქალაქ ფოთში დაზიანდა კერძო სექტორში მდებარე რამდენიმე საცხოვრებელი სახლის სახურავი და მოსახლეობას მიადგა ზიანი. ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის მშენებლობის, ინფრასტრუქტურისა და ტრანსპორტის სამსახურის მიერ დადგენილია დაზარალებულ პირთა მონაცემები და ზიანის ოდენობა. შედგენილ იქნა დეფექტური აქტები. ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერის 2016 წლის 9 სექტემბრის № 751 ბრძანების საფუძველზე, აღნიშნული სტიქიური მოვლენების შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიების განხორციელების მიზნით, გამოყოფილი იქნა შესაბამისი თანხა.

როგორც მომართვებიდან ირკვევა, საფრთხე ექმნება ადამიანთა ჯანმრთელობას და სიცოცხლეს, ასევე, ატმოსფერული ნალექების შემთხვევაში, დიდია სახლების სხვა უბნების დაზიანების ალბათობა. აღნიშნულიდან გამომდინარე, აუცილებელია მოცემული ვითარება მაქსიმალურად შემჭიდროვებულ ვადებში იქნეს აღმოფხვრილი.

შემსყიდველი ორგანიზაციისვე განმარტებით, აღნიშნული მდგომარეობა განპირობებული იყო ამინდის გაუარესებიდან გამომდინარე და შესაბამისად, მოცემული ვითარების წინასწარ განსაზღვრა შეუძლებელი იქნებოდა.

სამოტივაციო ნაწილი

სააგენტომ იმსჯელა შემსყიდველი ორგანიზაციის მომართვებზე, შეაფასა მათში მითითებული ინფორმაცია და დაადგინა, რომ ისინი აკმაყოფილებს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს № 13 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმებისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის“ მოთხოვნებს.

სააგენტო მიიჩნევს, რომ სახეზეა გადაუდებელი აუცილებლობით შესყიდვის განხორციელების საჭიროება, იმდენად რამდენადაც, შემსყიდველი ორგანიზაციის განმარტებით, 2016 წლის 4 - 5 სექტემბერს მომხდარი სტიქიის შედეგად, ქალაქ ფოთში დაზიანდა კერძო სექტორში მდებარე რამდენიმე საცხოვრებელი სახლის სახურავი და მოსახლეობას მიადგა ზიანი. შესაბამისად, საფრთხე ექმნება ადამიანთა ჯამრთელობას და სიცოცხლეს, ასევე, ატმოსფერული ნალექების შემთხვევაში, დიდია სახლების სხვა უბნების დაზიანების ალბათობა. აღნიშნულიდან გამომდინარე, სააგენტოს მიზანშეწონილად მიაჩნია, შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ აღნიშნული შესყიდვა განხორციელდეს გამარტივებული შესყიდვის საშუალებით.

ამასთან, სააგენტო მოუწოდებს შემსყიდველ ორგანიზაციას, რომ მან სახელმწიფო შესყიდვები განხორციელოს „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნათა განუხრელი დაცვით, რათა უზრუნველყოფილ იქნას შესყიდვებისათვის განკუთვნილი ფულადი სახსრების რაციონალური და გამჭვირვალე ხარჯვა, კონკურენტული და არადისკრიმინაციული გარემოს შექმნით.


საგულისხმოა, რომ აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით დაინტერესებულ პირებს სისტემის SMP მოდულში მოსაზრება არ გამოუხატავთ.

#### სარეზოლუციო ნაწილი

სააგენტომ იხელმძღვანელა სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს № 13 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმებისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის“ მე-7 მუხლის პირველი და მე-6 პუნქტებით და დაადგინა:

1. დაკმაყოფილდეს ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის SMP160002475 და SMP160002477 მომართვები და შემსყიდველ ორგანიზაციას მიეცეს თანხმობა გამარტივებული შესყიდვების განხორციელებაზე.
2. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ოფიციალური გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ. №6), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი



ზაზა ნანობაშვილი